## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №163/2014

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია "05" აგვისტო 2014 წ.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. „დღე", "კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „საქონელი"– ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ *საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო* (შემდგომში „შემსყიდველი")

*მდებარე ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6*

და მეორეს მხრივ **შ.პ.ს.** *„ლაბ დისტრიბუცია" -ს* (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

*მდებარე ქ. თბილისი, ზაზიშვილის I შესასვვი №1.*

3. **ხელშეკრულების საგანი**

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ერთი ცალი **ქსელის ჰაბის /HP 1405-16(JD858A)/** (CPV32423000) შეძენა.

4. **ხელშეკრულების ღირებულება**

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **120 (ასოცი) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის მიწოდების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.4.2. მიაწოდოს დადგენილი ხარისხისა და სტანდარტების საქონელი;

6. **საქონლის მიღება-ჩაბარების წესი**

საქონელი მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი.

7. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული პირ(ებ)ი;

7.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

7.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

7.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. **გარანტია**

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს დეფექტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით, თავად უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ყველა დეფექტისა და ნაკლის გამოსწორება.

9. **ანგარიშსწორება**

9.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

9.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 5 დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

10. **ფასები**

- ერთი ცალი ქსელის ჰაბი **HP 1405-16(JD858A)** –120.00 ლარი

11. **ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. **მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის**

12.1. ხელშეკრულების 5.4.1. მუხლით გათვალისწინებული ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობის შესაბამის თანხით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობის შესაბამისი თანხით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე.

12.3. 12.1. და 12.2. მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსყიდველს არ ევალება ხელშეკრულების 9.2 პუნქტში მითითებული ვადის დაცვა. მიმწოდებლისთვის თანხის გადახდა მოხდება პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენიდან 30 სამუშაო დღის განმვლობაში

12.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.

12.6. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.

12.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. **ხელშეკრულების შეწყვეტა**

13.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

13.4. შემსყიდველის დაფინანსების წყაროს შემცირების ან დაგეგმილი შემოსავლების ნაკლები რაოდენობით მიღების შემთხვევაში (თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა გათვალისწინებული იყო ამ შემოსავლებიდან), შემყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

13.5. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 სექტემბრამდე.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| საქართვლოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო | შ.პ.ს. "ლაბ დისტრიბუცია" |
| ს.კ. – 205142200<br>თბილისი, მარშალ გელოვანის №6<br>სახელმწიფო ხაზინა<br>ანგ.№200122900<br>კოდი: 220101222<br>მომსახურე ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"<br>ბ.კ. – BAGAGE22<br>ა.ა. – GE97BG0000000292123100 | ს.კ. –200253705<br>თბილისი, ზაზიშვილის I შესახვევი №1,<br>მომსახურე ბანკი: ს.ს. „ბაზის ბანკი"<br>ა.ა. – GE04BS 00 0000 0022 2369 53<br>ტელ: +995 32 2 29 -06-80 |
| სააგენტოს უფროსი<br><br>ზურაბ ჩეკურაშვილი_____ | მთავარი ბუღალტერი<br><br>_____ ანნა კაჭიური |